დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია მოსაშვილი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

დევით ტეფნაძე, შპს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2024

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
ძირითადი მისამართი	ბერი გაბრიელ სალოსის გამზრი №31, თბილისი, 0144, საქართველო
ვებ-გვერდი	www.thu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	02.12.2019; გადაწყვეტილება №43
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.12.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	8
ბაკალავრიატი	4
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	5
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	646	370	1323
ბაკალავრიატი	200	207	836
მაგისტრატურა			11
ერთსაფეხურიანი	430	146	459
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	16	17	17
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	488	265	770
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			2

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	**167**
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**98**
- პროფესორი	31
- ასოცირებული პროფესორი	50
- ასისტენტ პროფესორი	9
- ასისტენტი	8
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**52**
○ აფილირებული პროფესორი	17
○ აფილირებული ასოცირებული პროფესორი	22
○ აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**5**
○ აფილირებული ასისტენტი	8
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**34**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**35**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5 405.99კვ.მეტრი, მათ შორის: მიწის ფართობი - 3646.00 კვ.მეტრი; შენობა-ნაგებობები - 1759.99 კვ.მეტრი.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1740.1 კვ.მეტრი
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	19.89 კვ.მეტრი

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე (MES 9 24 0000353476; 26/03/2024 „ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ“) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა **შეაფასა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან.**

დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის 1 და 2 აპრილს. შეფასების პროცესი განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის, ასევე, ექსპერტთა მხრიდან დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. განხორციელებული ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალურად დაათვალიერა ქ. თბილისში მდებარე (ბერი გაბრიელ სალოსის გამზრ №31) დაწესებულების შენობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე, დაწესებულებასთან აფილირებული ორი სტომატოლოგიური კლინიკა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 აგვისტოს სხდომის ოქმი: ავტორიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (MES 8 23 0001029754; საბჭოს სხდომის ოქმი თბილისი 23/08/2023) შეწყდეს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში წარიმართა საქმიან ვითარებაში.

დასკვნის მომზადების პროცესში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და თანდართულ მასალებს (სსიპ-საქართველოს განატლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წერილი MES 2 24 0000791699; 02/07/2024). ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესბულების არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტთან 7.2 მიმართებაში გაცემული რეკომენდაციის შესახებ და გააუქმა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, რაც შემოწმდა ექსპერტთა მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ **შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში**
შეფასების განხორციელების თარიღი: 01-02 აპრილი, 2024 წელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შემდეგი სტანდარტები: 1.1; 2.3; 4.1; 5.2; 7.2; 7.3.
მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შემდეგი სტანდარტები: 2.1; 2,2; 6,1; 6,2; 6.3.
ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შემდეგი სტანდარტები: 1.2; 3.1; 3.2; 3.3; 4.2; 5.1; 7.1.; 7.4.

რეკომენდაციები

სტანდარტი 1.2.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.

სტანდარტი 2.1.

- იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში/სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის მუდმივად და დროულად განახლება შესაბამის საინფორამციო მართვის სისტემების ბაზაში.

სტანდარტი 2.2

- დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სათანადო შეფასება, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობები, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებამ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნდა ასახოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.

სტანდარტი 3.1

- მიზანშეწონილია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.
- მიზანშეწონილია სწავლების მეთოდოლოგიაში პერსონალის გადამზადება და ამ მიმართულებით მათი პროფესიონალიზმის ამაღლება.
- სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE -ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით სრულყოფილად უნდა იყოს გააზრებული შეფასების პროცესში ჩართული პერსონალისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩატარდეს ტრეინინგი.

- დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

სტანდარტი 3.2

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში (PBL, CBL, და აშ) სტომატოლოგიის პროგრამისათვის.
- რეკომენდირებულია ყველა ლექტორ-მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.
- რეკომენდირებულია სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება და მასში არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართვა.
- რეკომენდირებულია ინსტიტუციის მხრიდან აქტიური გეგმის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს და აამაღლებს უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ცოდნის დონეს.
- რეკომენდირებულია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰყავდეს შრომითი უსაფრთხოების თანამშრომელი.

სტანდარტი 3.3

- უმეტეს სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეიცვალა, თუმცა ისევ ვხვდებით კლინიკური კომპონენტის შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელშიც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს არ აქვს ჩატარებული გადამზადება (მინი კლინიკური გამოცდა - Mini-Cex), მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქირურგია, ენდოდონტია. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელებელი პერსონალის გადამზადება სასწავლო სილაბუსებით განსაზღვრულ შეფასების თანამედროვე მეთოდებში (მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex).
- მიზანშეწონილია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.
- მიზანშეწონილია პროფესიონალიზმის უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს აქტიური გამოყენების დანერგვა.
- რეკომენდირებულია ინგლისურენოვან ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა ინგლისური ენის დონის, პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის მუდმივი მონიტორინგის სქემის შემუშავება.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აკადემიური მოსწრების შედარებითი ანალიზის დანერგვა და ხარვეზების გამოვლენა წლების მიხედვით.

სტანდარტი 4.2

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულ მაჩვენებლების შესაბამისად.
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემის ფორმირება ყოველ სემესტრულად, სადაც გათვალისწინებული/მითითებული იქნება პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

სტანდარტი 5.1

- რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად.
- რეკომენდირებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს.

- რეკომენდრებულია აკადემიურ პერსონალს განესაზღვროს გონივრული ვადა მიმდინარე მოსწრების ქულების შესატანად ონლაინ პლატფორმაზე და უსდ-ს მიერ მოხდეს პროცესის მონიტორინგი.
- რეკომენდირებულია უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისათვის საჭირო ინგლისურის და რუსული ენის ტესტების მოდიფიცირება იმდგვარად, რომ მოხდეს წერითი, მოსმენის და საუბრის კომპეტენციების შემოწმებაც.

სტანდარტი 6.1

- რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა.

სტანდარტი 6.2

- უნდა გაიზარდოს კონფერენციიებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც.

სტანდარტი 6.3

- უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი.

სტანდარტი 7.1.

- რეკომენდირებულია სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტების, ასევე კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება თანამედროვე და საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობით და სახარჯი მასალებით, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.
- რეკომენდირებულია ხელშეკრულებების/მემორანდუმების განახლება კლინიკებთან, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

სტანდარტი 7.4.

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტი და წარმოადგინოს დასკვნები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებით.

რჩევები

სტანდარტი 3.1

- წაახალისეთ კურსდამთავრებულთა მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში.

სტანდარტი 3.2

- სასურველია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰქონდეს პერსონალური უსაფრთხოების დაცვის ბერკეტი და ჰყავდეს ეპიდემიოლოგი.

სტანდარტი 5.2

- გაიზარდოს გაცვლითი პროგრამებში მონაწილეს სტუდენტების რაოდენობა.

სტანდარტი 6.2

- სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა ღონისძიებებსა და აქტივობებში.

სტანდარტი 7.2.

- სასურველია გაიზარდოს სამეცნიერო ბაზების სარგებლობის მაჩვენებელი;
- სასურველია ბიბლიოთეკის თანამედროვე ლიტერატურით გამდიდრება.

სტანდარტი 7.3.

- სასურველია სასერვერო სივრცის გამოყოფა და აღჭურვა შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით.
- სასურველია შიდა ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☒	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
2. ია მოსაშვილი (წევრი)
3. დავით ტეფნაძე (წევრი)
4. თამარ გოდერიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (თჰუ) მისიაში ნათქვამია, რომ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებზე დაფუძნებულ განათლებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს. თჰუ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს მისიაში გაცხადებული მიმართულების შესაბამისად. კერძოდ, ის ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ჰუმანიტარული განათლების, სოციალური მეცნიერებების, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მიმართულებით. უფრო მეტი დეტალები კი წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხედვაში, რაც მოიცავს ბიზნეს სექტორთან, სხვა ორგანიზაციებთან, ინსტიტუციებთან, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სასერთიფიკატო კურსებისა და პროგრამების განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის და ინტერნაციონალიზაციის განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუების დროს შეხვდა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, სადაც ჩანდა, რომ ისინი გაცნობიერებული იყვნენ მისიის შესახებ, მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ უნივერსიტეტის მისია და ხედვა; ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის (2019-2025) შუალედური შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს შეფასების,ინდიკატორების, შესრულებაზე პასუხისმგებელი და შესრულების პროცესში მონაწილე პირების შესახებ. უნივერსიტეტის სტრატეგია შესაბამისობაშია მისიასთან, მიზნებთან და ამოცანებთან. თჰუ-ს მიერ წარმოდგენილ 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მეორე მიზანი, საგანამანათლებლო საქმიანობის განვითარება, მოიცავს ამოცანას კვლევების მხარდაჭერისა და განვითარების შესახებ. სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ამ მიმარულებით შესასრულებელი ამოცანები წლების მიხედვით, ძირითადი ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების, პროცესზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირების მითითებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, თუმცა მოწოდებულ იქნა მხოლოდ 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემაჯამებელი აღწერა და შეფასება, რაც უკვე განხილულია ავტორიზაციის წინა დასკვნებში. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილია ანგარიში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ, სადაც არ არის მითითებული რომელი წლის ანგარიშია, თუმცა ამ დოკუმენტში, ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს სწორედ ინსტიტუციური მიმართულება, სადაც შეფასებულია, რამდენად იქნა მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები, დადგენილი ინდიკატორების, ვადებისა და განსაზღვრული რესურსების შესაბამისად. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ნაწილში არ გამოვლენილა კონკრეტული ხარვეზები და გამოწვევები. აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და შესაბამისად, შეუძლებელია კონკრეტული აქტივობის შედეგების ანალიზი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის შუალედურ ანგარიშში (პირველი კვარტლის) ნათქვამია, რომ წლიურ ანგარიშებზე დაფუძნებით სამსახურის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და მოსაზრებები გადაეცა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფს, რომელმაც დაამუშავა და უზრუნველყო სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ჩარევების განხოციელება/განახლება, თუმცა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების შედეგად განსაზღვრული შემაჯამებელი რეკომენდაციები, სადაც ერთ-ერთი პუნქტია: - ინტენსიურად გაგრძელდეს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების იმპლემენტაცია, ასევე მათ შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა.

აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა მათი სხვადასხვა კუთხით ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობა, თუმცა პროცესი მეტ სისტემატიზაციას საჭიროებს, კერძოდ, მეტი აკადემიური პერსონალი უნდა იყოს ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, რომელთა მხარდაჭერა განხორციელდება უნივერსიტეტის მიერ. დაფინანსებულია 2 სამეცნიერო პროექტი, რომლებიც მიმდინარე რეჟიმშია, აქედან ერთი მედიცინის, მეორე კი - ეკონომიკის მიმართულებითაა, სადაც აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართული არიან სტუდენტებიც. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს თანხები სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებისთვის. ინტერვიუების დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება ვებ გვერდზე წარმოდგენილი მასალებით.

ექსპერტთა ვიზიტისას, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს ყურადღება იყო გამახვილებული თჰუ-ს მხარდაჭერაზე სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტების მხრიდან მათ მონაწილეობაზე სხვადასხვა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. თუმცა თჰუ-ს მიერ არ არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შერულების ანგარიშები, შესაბამისად, არ ჩანს, რამდენადაა სამეცნიერო პოტენციალი გაძლიერებული.

ასევე, ინტერვიუების დროს ნათელი გახდა, რომ ინსტიტუცია ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, ესენია, სხვადასხვა სოციალური, კულტურული ღონისძიებები, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- თჰუ სამოქმედო გეგმა 2022-2025;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2024 წელი (შუალედური, პირველი კვარტალი);
- შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარვეზებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ჰუმანიტარული განათლების, სოციალური მეცნიერებების, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მიმართულებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ემსახურება დაწესებულების მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიმართულებების მიღწევას. უნივერსიტეტის მისიაა „წარმოადგენდეს უმაღლეს საგანმანათლებლო კერას ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებზე დაფუძნებულ განათლებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს, რითაც წვლილი შეაქვს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, პიროვნების განვითარებასა და

ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში“. შესაბამისად, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა მოწყობილია იმდაგვარად, რომ უზრუნველყოს დაწესებულების მისიის შესრულება.

დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა განთავსებულია ვებ-გვერდზე https://www.thu.edu.ge/ka/content/66/330/0/0/0/0. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია შემდეგი მასალები: ინფორმაცია დაწესებულების მართვის ორგანოების შესახებ (რექტორი, აკადემიური საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორის მოადგილეები), დაწესებულების დებულება https://www.thu.edu.ge/ka/content/66/329/0/0/0/0, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის/სამსახურის დებულებები, წესები ინსტრუქციები და პოლიტიკები, სტრატეგიული განვითარების მიმართულებები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/332/0/0/0/0.

დაწესებულება თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საერთაშორისო პარტნიორებთან, რომელთა შესახებ ინფორმაცია და მათთან გაფორმებული მემორანდუმები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე https://www.thu.edu.ge/ka/content/66/334/427/0/0/0. დაწესებულების მიერ საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს შეთანხმებას სტრატეგიულ პარტნიორობაზე (მაგალითად, აზერბაიჯანის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან) ურთიერთთანამშრომლობას კვლევისა და სწავლების მიმართულებით, აკადემიურ გაცვლას (მაგალითად, აშაფენბურგის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებების უნივერსიტეტთან), სტუდენტთა სტაჟირებას უცხოეთში (მაგ. გერმანიაში), შეთანხმებას პროფესიული პრაქტიკის გავლის შესახებ და სხვ. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, ბოლო უახლოეს პერიოდში დადებულია ოთხი ახალი მემორანდუმი (მათ შორის ბოლო ერთ წელში დადებულია ახალი მემორანდუმები შემდეგ პარტნიორებთან: http://thu.edu.ge/ka/news/973 პარტნიორი მოლდოვეთიდან 2024 წ.; http://thu.edu.ge/ka/news/929 მემორანდუმი USAID-თან 2023 წ.; მემორანდუმი ევექსის კლინიკასთან - 2023 წ.).

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისა და მისი უცხოური პარტნიორების, მათ შორის, საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანი ურთიერთობების კოორდინაციას, ასევე უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საშტატო განრიგი (ფაკულტეტების ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ჩათვლით გათვალისწინებულია 157 საშტატო ერთეული) და ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის სია (35 პერსონალი). აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე მართვის ორგანოებში მითითებული რექტორის ორი მოადგილის პოზიცია (https://www.thu.edu.ge/ka/content/67/397/0/0/0/0) არ არის ასახული არც დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში და არც დაწესებულების საშტატო განრიგში, რომელიც დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით (01/06; 03/01/2024) 2024 წლის იანვარში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს რექტორის მოადგილეების სტატუსით შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა ორი პერსონალი. მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში/სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ზოგად ინფორმაციაში დაწესებულების შესახებ მითითებულია, რომ დაწესებულებაში სულ 646 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია და სტატუსი სულ შეჩერებული აქვს 370 სტუდენტს. ამავე ინფორმაციის თანახმად, 2024 წელს სტატუსი შეჩერებული აქვს 38 სტუდენტს, საიდანაც 10 არის ქართულენოვანი პროგრამის და 1 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტი. აღსანიშნავია, გარკვეული შეუსაბამობა აქტიურ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა საერთო რაოდენეობების შესახებ დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და სსიპ- საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრის) მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობებში (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა: 646 vs 658; სტატუს შეჩერებულთა რაოდენობა: 370 vs 350). ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით (ექსელის ფაილი) დაწესებულებაში 658 აქტიური სტუდენტია, ხოლო სტატუსი შეჩერებული აქვს 350 სტუდენტს, მათ შორის 2023 წელს სტატუსი შეჩერებული აქვს 52 სტუდენტს. ამასთან, ცენტრიდან მიღებული ფაილის მიხედვით 2023 წლის სექტემბრიდან -2024 წლის მარტის ჩათვლით სტატუსის შეჩერებაში ნაჩვენებია 108 სტუდენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა სერვისების განვითარების სააგენტოში 2023 წლის 29 დეკემბერს გაგზავნილი წერილი 3 სტატუსშეწყვეტილი და 42 სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა სერვისების განვითარების სააგენტოდან ონლაინ შეტყობინებები დაწესებულებიდან სხვადასხვა დროს გაგზავნილი 14 განცხადების მიღების შესახებ. აღნიშნულ შეტყობინებებში მითითებულია განცხადების ნომრები და არა კონკრეტულად განცხადების შინაარსი სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის გვარისა და სახელის მითითებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეედარებინა აღნიშნული განცხადებების მიხედვით სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტთა რაოდენობები და გვარ-სახელები ცენტრიდან მიღებულ ფაილთან, რომლის მიხედვით 2023 წლის სექტემბრიდან -2024 წლის მარტის ჩათვლით სტატუსის შეჩერებაში ნაჩვენებია 108 სტუდენტი.

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის მუდმივად და დროულად განახლება შესაბამის საინფორამციო მართვის სისტემების ბაზაში.

დაწესებულების დებულებაში (იხ.https://www.thu.edu.ge/ka/content/66/329/0/0/0/0) განსაზღვრულია მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნის წესები და დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურები. დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და განსაზღვრული აქვს: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრის წარმოების წესი; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები; საქმის წარმოების წესი. დაწესებულებას შემუსავებული აქვს ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge/ka;
- დაწესებულების დებულება https://www.thu.edu.ge/ka/content/66/329/0/0/0/0 ;
- დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა https://www.thu.edu.ge/ka/content/66/330/0/0/0/0 ;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/332/0/0/0/0;
- სამსახურის დებულებები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/331/0/0/0/0;
- წესები, ინსტრუქციები და პოლიტიკები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრის წარმოების წესი chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.thu.edu.ge/img/dxp/1711865548-1711865548.pdf;
- საქმის წარმოების წესი chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.thu.edu.ge/img/dxp/saqmiswarmoebis-wesi---63f3aca1e9838.pdf
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები;
- ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმა chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.thu.edu.ge/img/dxp/1685511846-1685511846.pdf;

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.thu.edu.ge/img/dxp/internacionalizaciis-politika---61821d405f698.pdf;
- დაწესებულების საერთაშორისო პარტნიორები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/334/427/0/0/0;
- დაწესებულების საშტატო განრიგი და ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის სია;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2023 წ.);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში/სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის მუდმივად და დროულად განახლება შესაბამის საინფორამციო მართვის სისტემების ბაზაში.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 25-ის მე-4 პუნქტის თანახმად, ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას). დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე (https://www.thu.edu.ge/ka/content/68/342/0/0/0/0 განთავსებულია ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისთვის წესები, რეგულაციები, ინსტრუქციები, მეთოდური მასალა და სხვ. ასევე, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებული მასალები და ანგარიშები (https://www.thu.edu.ge/ka/content/68/344/430/0/0/0).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები: დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სხვა რეგულაციებთან ერთად მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0, ასევე, აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი, საუნივერსიტეტო საზოგადოების გამოკითხვის ჩატარების და შედეგების ანალიზის წესი და სხვ. https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმღვანელისა და სტუდენტის მიერ აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურს შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების დოკუმენტაცია: პროგრამების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საუნივერსიტეტო საზოგადოების კმაყოფილების კვლევა, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში (2022-2023), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შუალედური ანგარიშები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2024 წლის პირველი კვარტალი), სადაც წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შეფასების შედეგად განსაზღვრული შემაჯამებელი რეკომენდაციები.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტებისთვის, ვისაც აქვთ ოფიციალურად დადასტურებელი საპატიო მიზეზი სწავლის შეჩერებისთვის (მაგ. ფინანსური ან ჯანმრთელობის მდგომარეობა), უნივერსიტეტი აწესებს მნიშვნელოვან შეღავათებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულების სხვა ადმინისტრაციული რგოლების ჩართულობით სისტემატურად აწარმოებს დაწესებულების მართვის ეფექტიანობის, დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი აქტივობების შეფასებასა და მონიტორინგს, ამზადებს შეფასების ანგარიშებს, ატარებს კმაყოფილების კვლევებსა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგს. ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის (2019-2025) შუალედური შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა (აქტივობის პერიოდი 2022-2023 წწ.), ასევე, სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია (https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0), ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და სხვ. (https://www.thu.edu.ge/ka/content/68/344/465/0/0/0).

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით (https://thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0 ვებგვერდის ბოლო მონახულების თარიღი 30/05/2024) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის გაითვალისწინება შემდეგი პარამეტრები: ა) სტუდენტთა არსებული რაოდენობა; ბ) დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა; გ) მისაღები სტუდენტების რაოდენობა; დ) პროგრამიდან განთესვა (სტუდენტის გასვლა პროგრამიდან სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის ან სხვა პროგრამაზე/უნივერსიტეტში მობილობის წესით გადასვლის გამო); ე) თითოეულ პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. დაწესებულებას დაგეგმილი და განსაზღვრული აქვს აკადემიური, მოწვეული პარსონალისა და სტუდენტთა რაოდენობისთვის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების მიხედვით.

დაწესებულებაში ამჟამად არსებული სტუდენტთა კონტიგენტისა (646 სტუდენტი) და აკადემიური პერსონალის (98 აკადემიური პერსონალი) რაოდენობის გათვალისწინებით მოცემულ ეტაპზე აღნიშნული მეთოდოლოგია ქმნის შესაძლებლობას არსებული კონტიგენტისთვის სათანადო ხარისხის სასწავლო და კვლევითი გარემოს შესაქმნელად, თუმცა ეს მეთოდოლოგია დაწესებულებაში მოცემულ მომენტში სრულად დანერგილი არ არის. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა: „1 პროფესორი არაუმეტეს 20

სტუდენტზე, **მაგრამ არანაკლებ 5 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე** (ხუთივე პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას)". თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალში ყველა პროგრამაზე არ ფიქსირდება 5 პროფესორი, მაგალითად: ინგლისურენოვანი „სტომატოლოგიის" პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სიის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ ერთი პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე-4 პროფესორი, სტომატოლოგიის ქართულენოვანი და რუსულენოვანი პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სია, რომელიც სხვა პროგრამების შემთხვევაში თან ახლდა საგანმანათლებლო პროგრამებს, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ იქნა მოძიებული.

დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სათანადო შეფასება, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობები, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულება ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასაც, თუმცა აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული მსგავსი პროგრამებისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის თავისებურებები და თანაფარდობები. დაწესებულებამ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნდა ასახოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge/ka/content/68/342/0/0/0/0;
- სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებული მასალები და ანგარიშები (https://www.thu.edu.ge/ka/content/68/344/430/0/0/0);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 1 კვარტალი;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში (2022-2023);
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების დოკუმენტები;
- კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი (შემაჯამებელი აღწერა და შეფასება);
- აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტები;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის (2019-2025) შუალედური შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა (აქტივობის პერიოდი 2022-2023 წწ.);
- სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- აკადემიური, მოწვეული პარსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვა ფაკულტეტების მიხედვით;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2023 წ.);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სათანადო შეფასება, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობები, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების

სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებამ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნდა ასახოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში ფუნქციონირებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმი, კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი (https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0). ამასთან, 2023 წლის იანვარიდან დაწესებულებას გააფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რათა დაწესებულების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელების ნაშრომები შემოწმდეს ანტიპლაგიატის სისტემის მეშვეობით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველა საბაკალავრო ნაშრომმა და რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციამ გაიარა შემოწმება ანტიპლაგიატის პროგრამაზე. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს და ინფორმირებულნი არიან ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ. თჰსუ–მ შეიძინა პლაგიატის საწინააღმდეგო სისტემის (Plagiat c) ლიცენზია პოლონეთიდან. დაწყებული აქვს მისი გამოყენება და ჩატარებული აქვს ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის პროდუქტის გაცნობის მიზნით. დაწესებულების პერსონალს უტარდება ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მაგალითად, 2023 წლის სექტემბერში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "პლაგიატი და მეცნიერება". ტრენინგს უძრვებოდა DOAJ-ის ასოცირებული რედაქტორი, რეცენზიის ექსპერტი - ნათია გაბედავა. ტრენინგს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცემათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები (https://www.thu.edu.ge/ka/news/928). გარდა ამისა, 2023 წლის 10 ივლისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო სტატიის შეფასება: ეტაპები და პროცედურები.“ ტრენინგი განკუთვნილი იყო ჟურნალის მთავარი რედაქტორებისა და სარედაქციო კოლეგიის წევრებისთვის. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტიდან აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრებმა (https://www.thu.edu.ge/ka/news/912). როგორც დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, დაწესებულების ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრების დროს გამოიკვეთა, პერსონალი

და სტუდენტები იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს და ინფორმირებულნი არიან ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი https://www.thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0; ○ ტრენინგის შესახებ ინფორმაცია https://www.thu.edu.ge/ka/news/928; ○ ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგის შესახებ https://www.thu.edu.ge/ka/news/912; ○ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2023 წ.); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტმა დოკუმენტურად წარადგინა სასწავლო პროგრამები და სილაბუსები თითოეული საგნისათვის. პროგრამები შექმნილია მოქმედი კანონმდებლობისა და ECTS- ის სტანდარტების მიხედვით. სილაბუსები შედგენილია განახლებული ფორმით. სილაბუსები შეიცავს სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისადაა შედგენილი. თუმცა, პერსონალთან გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ მიზნის მისაღწევად დასახული გზა ბოლომდე ნათელი არ არის მათთვის. მაგალითად, სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE -ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით არ იყო გააზრებული სრულყოფილად. დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები განიხილებიან მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებად კურიკულუმის შემუშავებაში, უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს, თუმცა ინტერვიუების დროს მათი აქტიური ჩართულობა შემუშავების პროცესში ნაკლებად იყო გამოკვეთილი. ძირითადი პასუხისმგებლობა აკადემიურ პერსონალზეა მიმართული. პროგრამები დაკომპლექტებულია შესაბამისი სასწავლო მასალებით, რომელიც დარგობრივ მოთხოვნებზეა დაფუძნებული. პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები ნათელია. ექსპერტთა პანელის მიერ პროგრამის სასწავლო გეგმა შეფასებულ იქნა რეალისტურად და ადექვატურად. საგანმანათლებლო პროგრამების შეწყვეტის პროცედურა მკაფიო მტკიცებულებით არის გამყარებული. თჰსუ

უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი ინფორმაციით გარე და შიდა მობილობის შესახებ და აძლევს მათ შესაძლებლობას, გადავიდნენ მოდიფიცირებულ პროგრამაზე, ამით აძლევს სტუდენტებს სწავლის დასრულების საშუალებას. ასევე, სწავლების დაწყებისთანავე განემარტება სტუდენტს თუ რა შემთხვევაში შეუჩერდება ან შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ფაქტის დადგომის შემთხვევაში ჩამოთვლილია რამდენიმე გზა, რითიც ხდება სტუდენტის ინფორმირება.

შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სტაჟირებები სასარგებლოა, მაგრამ უმეტესობა მათგანმა აღნიშნა, რომ შრომით ბაზარზე გასასვლელად მათ უფრო დაეხმარებოდა პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება როგორც სტაჟირებისას, ასევე, უნივერსიტეტში სწავლისას. პრაქტიკა ძირითადად ხორციელდება სტომატოლოგიის, სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში. თუმცა, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ასევე გამოხატეს დიდი სურვილი, რომ სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის წილი გაიზარდოს. ზოგადად, უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა დასაქმებას დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გზით და აღნიშნული გარე დაინტერესებული პირებიც მოხარულნი არიან, იქონიონ ურთიერთობები თჰსუ-სთან. უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც სტუდენტებს სტაჟირებას სთავაზობენ, მაგ. პრაქტიკის ობიექტები სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე, სტომატოლოგიური კლინიკები. თუმცა, ისინიც უფრო მეტად პრაქტიკაზე დაფუძნებულ კურიკულუმს ემხრობიან. წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამი ფაკულტეტი - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი; ჯანდაცვის ფაკულტეტი და ახორციელებს 8 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 5 საბაკალავრო (სამართლის, ფსიქოლოგიის, ქართულ ენაში მომზადების და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებს - ეს უკანასკნელი წარმოდგენილია როგორც ქართულ ასევე რუსულ ენაზე) და 3 ერთსაფეხურიან პროგამას - სტომატოლოგიის პროგრამას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი;
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესები;
- პანელის ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრა.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.
2. მიზანშეწონილია სწავლების მეთოდოლოგიაში პერსონალის გადამზადება და ამ მიმართულებით მათი პროფესიონალიზმის ამაღლება.
3. სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE -ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით სრულყოფილად უნდა იყოს გააზრებული შეფასების პროცესში ჩართული პერსონალისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩატარდეს ტრეინინგი.
4. დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

რჩევები:

- წაახალისეთ კურსდამთავრებულთა მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის პირობების შემოწმების წინა მონიტორინგის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 3.2 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულია ერთი რეკომენდაცია: რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში (PBL, CBL, და აშ) სტომატოლოგიის პროგრამისათვის.

აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების მომენტისთვის არ იყო შესრულებული. კონკრეტულად პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (PBL) გადამზადება ჯერჯერობით არ ჩატარებულა. აღნიშნული სწავლების მეთოდები გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო კურსებში: ფარმაკოლოგია, პათოლოგია. აღნიშნული საკითხის პრაქტიკული სახით გამართვა საჭიროებს სწრაფ რეაგირებას ინსტიტუციის მხრიდან და მისი განხორციელებისთვის აქტიური გეგმის შემუშავებას, რათა მხოლოდ დოკუმენტის სახით არ იყოს წარმოდგენილი და მისი გამოყენება იყოს თვალსაჩინოდ რეალისტური.

უნივერსიტეტმა დოკუმენტურად წარადგინა სასწავლო პროგრამები და სილაბუსები თითოეული საგნისათვის. პროგრამები შექმნილია მოქმედი კანონმდებლობისა და ECTS- ის სტანდარტების მიხედვით. სწავლის შედეგები მოცემულია თითოეულ პროგრამასა და საგნის სილაბუსებში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენელთა უმეტესობამ შეძლო წარმოეჩინა როგორ აღიქვამდა აკადემიური პროგრესს, თუმცა, სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო გაზიარება, თუ რამდენად შეუძლიათ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გაერთიანება და გამოყენება. უმეტესობა მათგანისთვის ინტერესის სფეროს უფრო მეტად კრედიტების სისტემა წარმოადგენდა და არა საგნების შინაარსობრივი დატვირთვა.

კურიკულუმის მუდმივი განახლებადობისა და კვლევების შესახებ ინფორმირებულობის განხილვისას, თჰსუ-ს უმეტესობა პროფესორებისა და პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან ნათლად ჩანდა, თუ როგორ მიიღწეოდა ეს. სავარაუდოდ, ფაკულტეტის წევრებს საკმარისად ესმით სწავლის შედეგების შეფასება, როგორც ჩანს, სწავლის შედეგები და მათი როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში კარგად არის გააზრებული.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები ენის კომპეტენციებში - კითხვა, მოსმენა, საუბარი და წერა ნათლად არის აღწერილი სილაბუსებში, ზოგიერთ სტუდენტში ინგლისური ენის კომპეტენციები მაინც დაბალ დონეზეა უცხო ენების კურსების გამოცხადებული პრიორიტეტის მიუხედავად.

პროგრამა და სილაბუსი შედგენილია არსებული მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო მასალები - წიგნები, აგრეთვე CD- ები, რომლებიც მითითებული სილაბუსში სხვადასხვა პროგრამებისთვის, სავალდებულო, ასევე არასავალდებულო საგნებისათვის, შემთხვევითი შერჩევით იქნა შემოწმებული და აღმოჩნდა, რომ ხელმისაწვდომი იყო თჰსუ-ს ბიბლიოთეკაში. როგორც აღმოჩნდა, სტომატოლოგიურ პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს ინტეგრირებული სტომატოლოგიური დაწესებულება და საცდელი ლაბორატორია. დათვალიერების დროს, როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, მიმდინარეობდა სარემონტო-განახლებადი სამუშაოები და ვერ მოხერხდა სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში

ჩართულობის შეფასება. ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა ორი ლოკაცია. მათგან ერთი სრულად იყო აღჭურვილი საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით და დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გასაუბრების დროს გამოვლინდა მზაობა და ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. მეორე ლოკაციაზე განთავსებული იყო მხოლოდ ერთი სტომატოლოგიური სავარძელი, სადაც თვალსაჩინო იყო ფართის სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა ჯგუფის გამართულად დასწრებას პრაქტიკულ მეცადინეობაზე თუნდაც როტაციული წესით, რადგან სტუდენტებისთვის თავისუფალი სივრცით არ იყო აღნიშნული კლინიკა აღჭურვილი. აღნიშნულ ლოკაციაზე პრაქტიკულ მეცადინობებში ჩართულმა პედაგოგმა განგვიმარტა, რომ არ აქვს კონტრაქტი ეპიდემიოლოგთან და ასევე არც პერსონალური მონაცემენის უსაფრთხოების მიმართულებით აქვს აღებული პასუხისმგებლობა აღნიშნულ კლინიკას. ასევე, აღნიშნულ კლინიკას არ ჰყავს შრომითი უსაფრთხოების თანამშრომელი, რაც სავალდებულოა ბოლოდროინდელი სტანდარტებით. აღნიშნულმა პედაგოგმა განმარტა, რომ რადგან ყოველ ჯერზე ყველა სტუდენტი ვერ ახერხებს დასწრებას, ამიტომ მას სტუდენტები გადანაწილებული ჰყავს თავისუფალი სქემით. ეს ბუნდოვანს ხდის ინსტიტუციის სწავლების აკადემიზმზე ორიენტირებას. აღნიშნული მიდგომა უნდა შეიცვალოს და სწავლების პროცესში ჩართული ნებისმიერი პედაგოგისთვის თვალსაჩინო უნდა იყოს მათი პასუხისმგებლობა.

უმეტესობა სილაბუსის სასწავლო მასალა განახლებულია ბოლოდროინდელი გამოცემებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას სჭირდება პერსონალის მდგრადი განვითარების პროგრამა. ამჟამად, როგორც ჩანს, ინსტიტუცია მონდომებულია გააძლიეროს სტრატეგიული დაგეგმვა ახალი სასწავლო გეგმისა და პერსონალის განვითარებისთვის. შეინიშნება მცდელობა, რომ გატარდეს მკაფიო პოლიტიკა პერსონალის განვითარების საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. პერსონალს აქვს გარკვეული შესაძლებლობები, რათა დაესწრონ საერთაშორისო კონფერენციებს, საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასწავლო პროგრამების განახლების მიზნით. ამჟამად, დაწესებულებას გააჩნია პოლიტიკისა და სტრატეგიების სისტემა, რომელიც მხარს დაუჭერს გადაწყვეტილებებს ზუსტი კვლევითი საქმიანობის შესახებ ცოდნის გაცვლისა და ცოდნის გადაცემისათვის, რაც თავის მხრივ განაახლებს სასწავლო გეგმას და ინტეგრირებული იქნება სწავლების პროცესში.

თჰსუ–ს გააჩნია ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული გზები/საშუალებები, როგორიცაა ინფორმაციის განთავსება ვებ – გვერდზე, ინფორმაციის გავრცელება სტუდენტთა ელექტრონული სწავლების პორტალის მეშვეობით, ფეისბუქის გვერდზე, კოორდინატორებთან შეხვედრების დროს და ა.შ.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებს და სტუდენტების აკადემიურ მზაობას და არის მზად, რომ უზრუნველყოს სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. თჰსუ-მ ინფრასტრუქტურაში განახორციელა სათანადო ჩარევები - უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის - შენობა, ლიფტი, სველი წერტილები ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლეებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასახავს დარგის სპეციფიკას. ექსპერტთა პანელს აქვს შთაბეჭდილება, რომ რეგულირების დოკუმენტაცია, ისევე როგორც პროგრამის დოკუმენტაცია (მათ შორის, შეფასების მეთოდოლოგია) და სილაბუსი მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის აქტიური მონაწილეობით ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის მიზნით, რაშიც მონაწილეობას იღებდა აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალი.

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (30 ECTS); ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულების (155 ECTS); ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების/მოდულების(45 ECTS) და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისაგან(10 ECTS). პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 30 (ECTS) კრედიტი - საუნივერსიტეტო საერთო

სავალდებულო სასწავლო კურსები; 5 (ECTS) კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი; 5 (ECTS) კრედიტი - დამხმარე სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსი; 110 (ECTS) კრედიტის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ სპეციალობის სავალდებულო• სასწავლო კურსების არჩევა, მათ შორის 10 (ECTS) კრედიტი გათვალისწინებულია პრაქტიკისა და 10 (ECTS) კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის. 30 (ECTS) კრედიტის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ათვისება. 30 (ECTS) კრედიტის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიერ ერთ-ერთი სპეციალობის სავალდებულო კონცენტრაციის არჩევა სოციალური ფსიქოლოგიის ან კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციით. 30 (ECTS) კრედიტი – თავისუფალი სასწავლო კურსები (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან).

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აგების პრინციპების დაცვით, კერძოდ პროგრამაში 143 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის. აქედან პრაქტიკის კომპონენტისათვის დათმობილია 10 კრედიტი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის განკუთვნილია 15 კრედიტი. პროგრამის ფარგლებში 18 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო არჩევითი კურსებისათვის, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციებზე, სადაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი, 30 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) შესაბამისი არჩევითი კურსებისათვის, 24 კრედიტი განკუთვნილია უცხო ენის (ინგლისური ენა) მოდულისათვის, ხოლო 25 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო წელს (8 სემესტრი), სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად: ყოველი სემესტრი შედგება 20 კვირისაგან. მათ შორის მე-8 კვირა ეთმობა შუალედურ, ხოლო მე-17 და მე-18 კვირა დასკვნით გამოცდებს, ხოლო მე-19 და მე-20 კვირა-დამატებით გამოცდებს.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 60 ECTS კრედიტისგან, რომელიც მოიცავს 8 სავალდებულო სასწავლო კურსს; სასწავლო კურსები ნაწილდება შემდეგნაირად: I სემესტრი - 4 სავალდებულო კურსი, 30 (ECTS) კრედიტი, II სემესტრი - 4 სავალდებულო კურსი, 30 (ECTS) კრედიტი. აქედან, 10 (ECTS) კრედიტი ნაწილდება სასწავლო კურსზე - დარგობრივი ენა: ფილოლოგია, ფსიქოლოგია, ტურიზმი, მედიცინა, ბიზნესი და ეკონომიკა, სამართალი. სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს მისი მომავალი საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის გათვალისწინებით.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 300 ECTS კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება: 20 (ECTS) კრედიტი - ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო სასწავლო კურსები 72 (ECTS) კრედიტი-ფუნდამენტურ დისციპლინათა სავალდებულო მოდული 60 (ECTS) კრედიტი-ზოგად კლინიკურ დისციპლინათა სავალდებულო მოდული 35 (ECTS) კრედიტი-თერაპიული სტომატოლოგიის მოდული 28 (ECTS) კრედიტი-ქირურგიული სტომატოლოგიის მოდული 28 (ECTS) კრედიტი-ორთოპედიული სტომატოლოგიის მოდული 47 (ECTS) კრედიტი-ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის მოდული 10 (ECTS) კრედიტი-სპეციალობის არჩევითი საგნები (4 კრედითი თავისუფალი).

აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა მათი სხვადასხვა კუთხით ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობა, თუმცა მეტი აკადემიური პერსონალი უნდა იყოს ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, რომელთა მხარდაჭერა განხორციელდება უნივერსიტეტის მიერ. ამჯერად, მიმდინარე რეჟიმში დაფინანსებულია 2 სამეცნიერო პროექტი - ერთი მედიცინის და ერთი ეკონომიკის მიმართულებით. სადაც აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართული არიან სტუდენტებიც. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს თანხები სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებისთვის. ინტერვიუების დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება ვებ გვერდზე წარმოდგენილი მასალებით.

მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო აქტივობებში არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, არამედ მოწვეული პერსონალიც იყოს ჩართული.

ექსპერტთა ვიზიტისას, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს ყურადღება იყო გამახვილებული თჰუ-ს მხარდაჭერაზე სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტების მხრიდან მათ მონაწილეობაზე სხვადასხვა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. თუმცა თჰუ-ს მიერ არ არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შერულების ანგარიშები, შესაბამისად, არ ჩანს, რამდენადაა სამეცნიერო პოტენციალი გაძლიერებული.

უნივერსიტეტი ცდილობს, რომ დაინტერესოს თანამშრომლები წახალისებით და სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობით და მათ ინტერესი გაუჩნდეთ, რომ სხვა უნივერსიტეტებში ნაკლები დატვირთვა ჰქონეთ და რესურსი მიიმართოს აღნიშნული ინსტიტუციის გაძლიერების მიმართულებით. ჩატარდა ტრენინგი - „პლაგიატი და მეცნიერება“ ტრენინგს უძღვებოდა მოწვეულმი სპეციალისტი: ნათია გაბედავა http://thu.edu.ge/ka/news/928. უნივერსიტეტში შემცირდა გარიცხული სტუდენტების რაოდენობა, რაც მიიჩნევა, რომ გაუმჯობესებული ხარისხის მონიტორინგით არის განპირობებული.

ინსტიტუციის მხრიდან გარკვეული ნაბიჯებია გადასადგამი, რათა უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ცოდნა შეესაბამებოდეს აკადემიური სწავლების მოთხოვნებს. გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა ვერ ამჟღავნებს ენის ცოდნის იმ დონეს, რომელიც მაგალითად სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამისთვის არის რელევანტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები ინსტიტუციის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში (PBL, CBL, და აშ) სტომატოლოგიის პროგრამისათვის.
- რეკომენდირებულია ყველა ლექტორ-მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.
- რეკომენდირებულია სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება და მასში არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართვა.
- რეკომენდირებულია ინსტიტუციის მხრიდან აქტიური გეგმის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს და აამაღლებს უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ცოდნის დონეს.
- რეკომენდირებულია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰყავდეს შრომითი უსაფრთხოების თანამშრომელი.

რჩევები:

- სასურველია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰქონდეს პერსონალური უსაფრთხოების დაცვის ბერკეტი და ჰყავდეს ეპიდემიოლოგი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

უმეტეს სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეიცვალა, თუმცა ისევ ვხვდებით კლინიკური კომპონენტის შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელშიც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს არ აქვს ჩატარებული გადამზადება (მინი კლინიკური გამოცდა - Mini-Cex), მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქირურგია, ენდოდონტია.

სწავლის შედეგები თითოეულ პროგრამაში წარმოდგენილია უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შექმნის წესის მიხედვით. სილაბუსები შეიცავს სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისადაა შედგენილი. თუმცა, პროგრამის მიზნების მისაღწევად წარმოდგენილი გზა რეალისტურია, მაგრამ სრულად ნათლად არ იქნა გასაუბრებების დროს წარმოჩენილი.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს ჰქონდათ ინფორმაცია თჰსუ– ში სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. სტუდენტთა ცოდნის დონე შეფასებულია ზემოთ აღნიშნული სისტემის საფუძველზე და ინსტიტუციის წარმომადგენლებს აქვთ ინფორმაცია, მიაღწიეს თუ არა მიზნებს, რა არის სწავლის ხარვეზები და ასევე წარმოაჩენენ მზაობას, გაუმჯობესებასთან და პროგრესის მიღწევასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტს გააჩნია შეფასების გასაჩივრების სისტემა. სააპელაციო პროცესი წარმოდგენილია დოკუმენტაციაში, ხოლო ინტერვიუებში სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია იმ პროცედურის შესახებ, თუ როგორ უნდა გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, მაგრამ ისინი არ არის წარმოდგენილი სრულად დაბალი მონაწილეობის გამო და წარმოდგენილია მხოლოდ შერჩეული პროგრამებისთვის. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს აკადემიური შედეგების შეფასების სისტემა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც შეიცავს ადეკვატურ შეფასების ფორმატს, კომპონენტებს და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, თუ რამდენად კარგად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სტომატოლოგიის პრაქტიკულ კომპონენტს.

სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად დოკუმენტებში მითითებული მეთოდების გამოყენება როგორ ხდება პრაქტიკაში, გასაუბრებების დროს ნათლად ვერ გამოიკვეთა. საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების (მაგ. ჰისტოლოგიური პრეპარატის იდენტიფიკაცია მიკროსკოპით, პათოლოგანატომიური პრეპარატების იდენტიფიცირება) შესაფასებლად, გამოცდის რომელი მეთოდი იყო შერჩეული ნათლად ვერ წარმოჩინდა ვიზიტის დროს. ინსტიტუციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილი აქვთ სტომატოლოგიურ პროგრამაზე კლინიკური კომპეტენციების შეფასება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) გამოცდების საშუალებით. თუმცა, ამჯერად რამდენად მცირე ხარვეზებით მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, ამის ზუსტი შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან ამომწურავი ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული არც სტუდენტების მიერ და ვერც ინსტიტუციის წარმომადგენლების მიერ, რადგან სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ძნელად წარმოსაჩენი აღმოჩნდა OSCE -ს მიმდინარეობის ფორმატი. ინსტიტუციას ამ ეტაპზე პროფესიონალიზმის უწყვეტი შეფასების მეთოდად არ იყენებს პორტფოლიოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუები პერსონალთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- უმეტეს სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეიცვალა, თუმცა ისევ ვხვდებით კლინიკური კომპონენტის შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელშიც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს არ აქვს ჩატარებული გადამზადება (მინი კლინიკური გამოცდა - Mini-Cex), მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქირურგია, ენდოდონტია. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელებელი პერსონალის გადამზადება სასწავლო სილაბუსებით განსაზღვრულ შეფასების თანამედროვე მეთოდებში (მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex).
- მიზანშეწონილია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.
- მიზანშეწონილია პროფესიონალიზმის უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს აქტიური გამოყენების დანერგვა.
- რეკომენდირებულია ინგლისურენოვან ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა ინგლისური ენის დონის, პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის მუდმივი მონიტორინგის სქემის შემუშავება.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აკადემიური მოსწრების შედარებითი ანალიზის დანერგვა და ხარვეზების გამოვლენა წლების მიხედვით.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა (https://thu.edu.ge/ka/content/71/355/0/0/0/0; ვებგვერდის ბოლო მონახულების თარიღი 26/05/2024)), რომელიც ითვალისწინებს პერსონალის ორ ძირითად სტატუსს:
ა) შტატით გათვალისწინებული და ბ) შტატგარეშე (ვადიანი ხელშეკრულებით) პერსონალი. უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალის თანამდებობები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ა) აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი); ბ) ადმინისტრაციული პერსონალი; გ) დამხმარე პერსონალი; დ) მოწვეული (არასაშტატო) პერსონალი.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია პერსონალის მართვასთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები: სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; შრომითი ხელშეკრულების ნიმუში ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; აკადემიური პერსონალის წლიური საკონტაქტო, სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური დატვირთვის რაოდენობრივი შეფასება და ზღვრული ნორმები და სხვ.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შერჩეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციური აქტებით დადგენილი საკონკურსო პირობების მიხედვით, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელ საკონკურსო კომისიათა გადაწყვეტილებების შესაბამისად. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც ტარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. აკადემიური პერსონალის აფილირება რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მოწვეულ ლექტორად შესაძლოა აყვანილ იქნეს პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის და კომპონენტის სწავლების ენის გათვალისწინებით ფლობს უცხო ენას შესაბამის დონეზე.

დანიშვნით თანამდებობაზე პერსონალის შერჩევა პირველ რიგში ხორციელდება შიდა კონკურსის წესით. ამასთან, პერსონალის შერჩევა ვაკანტურ თანამდებობებზე დასაშვებია: თჰუ-ს/სხვა უნივერსიტეტის მაღალი რეპუტაციის მქონე აკადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა მიერ, კურსდამთავრებულების ან გარეშე პირებისთვის, რეკომენდაციის საფუძველზე; სხვადასხვა მონაცემთა ბაზებში კანდიდატურების მოძიების გზით; თჰუ-ს სარეზერვო ადამიანური რესურსიდან. რეკომენდებულ კანდიდატთან გასაუბრებას წარმართავს რექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, პერსონალის განვითარების პოლიტიკა; ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან; ანაზღაურების, წახალისებისა და მოტივაციის სქემები და ა.შ. დაწესებულების 2024 წლის ბიუჯეტში პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა ხარჯები სახელფასო ხარჯების გარდა, მაგალითად დასაქმებულთა სოციალური მხარდაჭერა, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა, აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის დაფინანსების ხარჯები და სხვ. დაწესებულებაში განსაზღვრულია სამეცნიერო მივლინების დაფინანსების წესი, ასევე, შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემა.

როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, პერსონალის შეფასება ხდება ყოველსემესტრულად. ორგანიზებას უწევენ კითხვარების დაგზავნას. მიღებული შედეგების გაანალიზება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პერსონალის შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ პერსონალს სამეცნიერო აქტივობის კუთხით ნაკლებად შთამბეჭდავი შედეგები აქვთ. ამიტომ, სამეცნიერო სამსახურთან ერთად ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა დაგეგმა ტრეინინგები კვლევითი უნარების გაღმავებისთვის.

დაწესებულებას დაგეგმილი და განსაზღვრული აქვს აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობისთვის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების მიხედვით. ადმინისტრაციული და

დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თითოეული პოზიციისთვის გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, განსაზღვრულია აკადემიური პერსონლის აფილირების წესი და პირობები. აფილირება გულისხმობს თჰუ-სა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ თჰუ-სთან და მისი სახელით: მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში; ახორციელებს საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო, კვლევით და მეთოდურ საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება თჰუ-ს; აქტიურად არის ჩართული თჰუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული თჰუ-ში სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და მათი კვლევითი ან და პრაქტიკული კომპონენტის ხელმძღვანელობის პროცესებში.

დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს შემდეგ პირობებს: აფილირებული პირი ვალდებულია შეასრულოს საგანმანათლებლო, სასწავლოსამეცნიერო, კვლევითი და მეთოდური საქმიანობა შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად; აფილირებული პირი უფლებამოსილია არჩეულ იქნას თჰუ-ს მართვის ორგანოებში თჰუს დებულების შესაბამისად; აფილირებული პირი უფლებამოსილია დაიკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, თუ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით მისი დატვირთვა არ აღემატება 12 საათს; აფილირებული პირი უფლებამოსილია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუ მისი დატვირთვა ამ დაწესებულებაში არ აღემატება კვირაში 12 საკონტაქტო საათს; აფილირებული პირი ვალდებულია გააფრთხილოს უნივერსიტეტი 30 დღით ადრე მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების გადაწყვეტილების შესახებ.

დაწესებულება პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევებს და მოცემული კვლევის შედეგები საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების კმაყოფილების კვლევის შედეგებთან ერთად წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად განხორციელებული მონიტორინგის ერთიანი ანგარიშის კომპონენტს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კმაყოფილების 2023 წლის ანგარიშში ასახულია, როგორც ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, სტუდენტების მიერ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები. პერსონალის კმაყოფილების კვლევისა და პერსონალის შეფასების შედეგად გამოვლენილ ტენდენციების შესაბამისად და, ზოგადად, ხარისხის მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზზე დაფუძნებით, სამსახურმა პერსონალის მართვის საკითხებთან დაკავშირებით გასცა ცალკეული რეკომენდაციები, მაგალითად: სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, მათ შორის პერსონალის გადამზადების და კლინიკის მოწყობასთან დაკავშირებით; აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სწავლის შედეგებთან და კურიკულუმის რუკებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარების შესახებ; პროგრამებში სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით პროგრამების განხორციელების პროცესში მაღალკვალიფიციური უცხოელი პერსონალის ჩართვის შესახებ, უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის გადახედვის, პერსონალის შეფასების მექანიზმების განვითარების შესახებ და სხვ. გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, დაწესებულებაში პერსონალის მართვის კუთხით განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები, მაგალითად, განახლდა ყველა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის სამუშაო აღწერილობები, შემუშვებულია სტრუქტურული ერთეულის დებულებების ახალი რედაქციის პროექტები; შესაბმის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შემუშავდა აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ახალი სისტემა და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა: https://thu.edu.ge/ka/content/71/355/0/0/0/0;
- ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების დაგეგმვის წესი https://thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;

- სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია https://thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- ფაკულტეტების მიხედვით მოწვეული და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის დოკუმენტი;
- სამიზნე ნიშნულები;
- პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებლები;
- ვაკანსიაზე შემოტანილი განცხადებების რაოდენობა;
- პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტებთან მიმართებით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკაემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ბოლო ერთი წლის განმავლობაში კადრების დენადობის მაჩვენებელი;
- პერსონალის პირადი საქმეების ნიმუშები;
- ჩატარებული აკადემიური კონკურსის დოკუმენტაცია (ნიმუში);
- საუნივერსიტეტო საზოგადოების კმაყოფილების კვლევა, 2023 წ.;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2024 წლის პირველი კვარტალი);
- დაწესებულების 2024 წლის ბიუჯეტი;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2023 წ.);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს და აანალიზებს ინფორმაციას პერსონალის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სახით დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია პერსონალის შესახებ: ფაკულტეტების მიხედვით მოწვეული და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის დოკუმენტი სამიზნე ნიშნულებით და მათი მიღწევის დროის ჩვენებით; პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებლები; პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტებთან მიმართებით; ვაკანსიაზე შემოტანილი განცხადებების რაოდენობა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკაემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ბოლო ერთი წლის განმავლობაში კადრების დენადობის მაჩვენებელი; პერსონალის პირადი საქმეების ნიმუშები; ჩატარებული აკადემიური კონკურსის დოკუმენტაცია (ნიმუშები).

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი მასალების სახით გამოითხოვა აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის დატვირთვის ზოგადი სქემა, თუმცა პერსონალის დატვირთვის მაჩვენებლები სხვა უსდ-ებში (მიმდინარე სემესტრში) დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემის ფორმირება ყოველ სემესტრულად, სადაც გათვალისწინებული/მითითებული იქნება პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

ექსპერტთა ჯგუფისთვის დაწესებულების შესახებ ზოგადი ინფორმაციის თაობაზე დაწესებულების მიერ მიწოდებული რაოდენობრივი მაჩვენებლების თანახმად (იხ. ზემოთ ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ) მოცემულ ეტაპზე აფილირებული აკადემიური პერსონალის ფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან არის 52/132. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 98/34. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობასთან არის 52/646.

აღსანიშნავია, გარკვეული სახის უზუსტობა დაწესებულების მიერ ზოგადი ინფორმაციის სახით მოწოდებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ დამატებით მასალების სახით დაწესებულების მიერვე წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, ამ უკანასკნელ დოკუმენტებზე დაყედნობით მოცემულ ეტაპზე აფილირებული აკადემიური პერსონალის ფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან არის 47/186. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან არის 47/646. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 93/93. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ამასთან, როგორც ზემოთ, 2.2. სტანდარტის აღწერილობით ნაწილშია მითითებული, დაწესებულებას დაგეგმილი და განსაზღვრული აქვს აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობისთვის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების მიხედვით. დაწესებულებაში ამჟამად არსებული სტუდენტთა კონტიგენტისა (646 სტუდენტი) და აკადემიური პერსონალის (98 აკადემიური პერსონალი) რაოდენობის გათვალისწინებით მოცემულ ეტაპზე აღნიშნული მეთოდოლოგია ქმნის შესაძლებლობას არსებული კონტიგენტისთვის სათანადო ხარისხის სასწავლო და კვლევითი გარემოს შესაქმნელად, თუმცა ეს მეთოდოლოგია დაწესებულებაში მოცემულ მომენტში სრულად დანერგილი არ არის. შესაბამისად, დაწესებულებაში ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა ნაკლებია დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებით.

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულ მაჩვენებლების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა: https://thu.edu.ge/ka/content/71/355/0/0/0/0;
- ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების დაგეგმვის წესი https://thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია https://thu.edu.ge/ka/content/66/333/0/0/0/0;
- ფაკულტეტების მიხედვით მოწვეული და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის დოკუმენტი;
- სამიზნე ნიშნულები;
- პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებლები;
- ვაკანსიაზე შემოტანილი განცხადებების რაოდენობა;
- პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტებთან მიმართებით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;

- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკაემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ბოლო ერთი წლის განმავლობაში კადრების დენადობის მაჩვენებელი;
- პერსონალის პირადი საქმეების ნიმუშები;
- ჩატარებული აკადემიური კონკურსის დოკუმენტაცია (ნიმუში);
- საუნივერსიტეტო საზოგადოების კმაყოფილების კვლევა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ (2023 წ.);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულ მაჩვენებლების შესაბამისად.
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემის ფორმირება ყოველ სემესტრულად, სადაც გათვალისწინებული/მითითებული იქნება პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2023 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიშში 5.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემული არ იყო.

თჰსუ-ს მკაფიოდ აქვს გაწერილი სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები (სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები). წესი საჯაროდაა განთავსებული უსდ-ს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე ინტერვიუებით დასტურდება, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია მათ შესახებ. როგორც მათ აღნიშნეს უნივერსიტეტში სემესტრის პირველ სასწავლო კვირას ეწყობა საორიენტაციო შეხვედრები, რომლებიც ატარებენ საინფორმაციო ხასიათს. დოკუმენტში "სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები" გაწერილია პროცედურა უცხო ქვეყნის სტუდენტებისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ 45 დღის განმავლობაში, თუკი მას არ აქვს შეფასება ერთ კომპონენტში მაინც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ვიზიტის დროს გამოთხოვილი იქნა წერილები, რომლებიც უნდა გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს სტუდენტების სიებით მათი სტატუსის შეჩერების შესახებ. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა ვერ მოიძიეს ყველა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გაგზავნილი წერილი.

სწავლის დაწყებამდე სტუდენტებს ეძლევათ წვდომა სპეციალურ პლატფორმაზე, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა როგორც რეგისტრაციისთვის ასევე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან საკომუნიკაციოდ. აღნიშნული შეხვედრის დროს სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ გამოიყენონ ელექტრონული სასწავლო პორტალი. ასევე, სტუდენტები ეცნობიან უსდ-ში მომუშავე პერსონალს, შეფასების სისტემას, ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და იღებენ სხვა მნიშვნელოვან ინფრომაციას, რომელიც აუცილებელია, საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტთა ინტეგრაციის კუთხით, ასევე, ნორმატიული დოკუმენტებს რომლებიც საჭიროა მათი სწავლის პერიოდში.

სტუდენებსა და უსდ-ს შორის ურთიერთობა რეგულირდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები, საფასურის გადახდის წესი და სხვა საჭირო საკითხების სამართლებრივი რეგულირების წესები. ხელშეკრულება იცავს სტუდენტების ინტერესებს და არ არის ცალმხრივად უნივერსიტეტზე მორგებული. ხელშეკრულების ნიმუშები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ისევე როგორც სხვადასხვა მარეგულირებელი აქტები და სტუდენტთა გზამკვლევი, ატვირთულია ვებ-გვედრზე და საჯაროდაა ხელმისწავდომი ყველასთვის.

უსდ-ში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ თავისი შეფასება. ამ პროცესის არსებობა დაადასტურეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ინტერვიუებზე ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციასთან თუ აკადემიურ პერსონალთან სხვადასხვა კითხვების არსებობის შემთხვევაში საკომუნიკაციოდ მათ შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც ონლაინ პორტალი და ელექტრონული ფოსტა, ასევე პირდაპირი კომუნიკაცია უშუალოდ უნივერსიტეტში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პორტალზე სტუდენტებს არ გააჩნიათ საგნების არჩევის საშუალება. უფრო კონკრეტულად კი სტუდენტებს პორტალზე ხვდებათ უკვე არჩეული საგნები და შესაბამისად სტუდენტები სწავლის გადასახადს იხდიან მთლიანი სემესტრის ღირებულების შესაბამისად. ამის გამო სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობის შემთხვევაში გადაიხადოს იმდენი კრედიტის ღირებულება რამდენსაც გაივლის კონკრეტულად იმ სემესტრში.

გარდა ამისა, პორტალის შესაძლებლობების გაცნობის დროს აღმოჩნდა, რომ სემესტრის დაწყენის შემდეგ ზოგიერთი პროფესორი მიმდინარე შეფასების ქულების შესატანად არ იყენებდა ონლაინ შეფასების გვერდს, არამედ ქულები მონიშნული ჰქონდა მხოლოდ ფურცელზე. შესაბამისად სტუდენტებს არ შეეძლოთ თავისი შეფასბებების ნახვა ონლაინ.

ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებთან გასაუბრების დროს ინტერვიუ მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე, რა დროსაც გამოიკვეთა რამდენიმე სტუდენტის ენის კომპეტენციის პრობლემა, მათ გაუჭირდათ მარტივი და ზოგადი კითხვების შინაარსის გაგება და პასუხის გაცემა. ამის

საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა უცხოური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტები, სადაც აღმოჩნდა, რომ არ მოწმდება არც წერითი, არც მოსმენის და არც საუბრის ნაწილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თჰსუ "სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები" • ბაუსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; • სერვისების განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილები; • უცხოური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტების ნიმუშები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge; • განხორციელებული აქტივობები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად. • რეკომენდირებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს. • რეკომენდრებულია აკადემიურ პერსონალს განესაზღვროს გონივრული ვადა მიმდინარე მოსწრების ქულების შესატანად ონლაინ პლატფორმაზე და უსდ-ს მიერ მოხდეს პროცესის მონიტორინგი. • რეკომენდირებულია უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისათვის საჭირო ინგლისურის და რუსული ენის ტესტების მოდიფიცირება იმდგვარად, რომ მოხდეს წერითი, მოსმენის და საუბრის კომპეტენციების შემოწმებაც.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2023 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიშში 5.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემული არ იყო. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური. სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია სტაჟირებების თუ დასაქმების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სამსახური თავის საქმიანობას აგრძელებს კურსდამთავრებულებთანაც. სწორედ ამის შედეგია, რომ უსდ-ს აქვს ინფორმაცია

კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ როგორც ქართველი ასევე საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში. სტუდენტები სამსახურის წარმომადგენლებისგან იღებენ ინფორმაციას როგორც ვაკანსიების ისე ინფორმაციას უსდ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ და ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესში. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს სტუდენტებმაც ინტერვიუს დროს. სამსახურის გამართულად მუშაობისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით ტარდება გამოკითხვები უნივერსიტეტის სერვისებთან დაკავშირებით, სადაც ფასდება მატერიალური ბაზა, გარემო, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ საერთაშორისო მობილობაში და პროექტებში. ამ მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას შესაბამისი გაცვილითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაცვლით პროგრამების შეთავაზების მიზნით თჰსუ-მა ევროპის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობეს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში. სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში იმყოფებოდნენ სტუდენტები რუმინეთის, ლიეტუვისა და ბულგარეთის უნივერსიტეტებში. თუმცა გაცვლით პროგრამებში ნამყოფი სტუდენტების საერთო რაოდენობა და არ აღემატება 5-ს. შესაბამისად, უკეთესი იქნება თუკი უსდ გააძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობის კუხით მუშაობას.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც არჩევაც ხდება არჩევნების გზით. მათი ორგანიზებით წლის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი თუ გასართობი აქტიობა იგეგმება უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის შემადგენლობაში არიან უცხოელი სტუდენტებიც.

თჰსუ ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას და სთავაზობს ფინანსურ წახალისებას წარმატებულ და სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს. წარმატებულ სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა ხდება ყოველსემესტრულად მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს ერთი სემესტრის მანძილზე. სტიპენდიის მიღების შესაძლებლობა აქვთ იმ სტუდენტებს, რომელთა სემესტრული GPA არის მინიმუმ 3.7; მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში. ხოლო ფინანსური დახმარების საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის ფორმას წარმოადგენს სწავლის გადასახადზე შეღავათის გაკეთება. ასეთ კატეგორიებს წარმოადგენენ: სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისთვის (მ.შ ობოლი, მრავალშვილიანი), დედმამისშვილებისთვის და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის. ფინანსური შეღავათის თითოეული შემთხვევა განიხილება და ტარიფი განისაზღვრება ინდივიდუალურად რექტორის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თჰსუ „სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულება“;
- თჰსუ "სტუდენტთური თვითმმართველობის დებულება";
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge;
- თჰსუ „წარმატებულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის წესი"
- განხორციელებული სტუდენტური აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- გაიზარდოს გაცვლითი პროგრამებში მონაწილეს სტუდენტების რაოდენობა.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-მ წარმოადგინა შრომათა კრებული (#1, 2022), რომელიც ჯერ-ჯერობოთ ერთადერთია. მიუხედავად მისი მცირე მოცულობისა, გარკვეულად ადასტურებს დაწესებულების მცდელობას, რომ წინ გადადგას ნაბიჯები სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით. კრებულის სარედაქციო კოლეგიაში წარმოდგენილნი არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები. უსდ წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს და არ გააჩნია სადოქტორო პროგრამები. თუმცა, მისია და სტრატეგია მოიხსენიებენ კვლევის მნიშვნელობას, აკადემიურ თავისუფლებასა და ინტერნაციონალიზაციას. 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას აქცენტი გაკეთდა უნივერსიტეტს კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და დახვეწისათვის საჭირო აქტივობებზე. გეგმისა და საქმიანობის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის სტრუქტურაში შევიდა კვლევისა და განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქციებია: უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და ამ საქმიანობის განვითარების კოორდინაცია; სამეცნიერო ფონდების მოზიდვის, საგრანტო პროექტების შემუშავების, პატენტის შექმნის და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტის პერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურებების მიწოდება; - უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით სხვადასხვა სემინარების, ტრენინგების, გადასამზადებელი და სასერთიფიკატო კურსების ორგანიზება; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი გრანტების, სტიპენდიებისა და კვლევითი პროექტების კოორდინაცია; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა და შეფასების პროცესების კოორდინაცია, მათ შორის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და პლაგიარიზმის საწინააღმდეგო ზომების მიღებით; უნივერსიტეტის სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება; საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის ორგანიზება (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და ა.შ.); სამეცნიერო კვლევების სფეროში თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან; აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა სამეცნიერო ფორუმებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში. ზემოაღნიშნული საკითხების უმეტესი ნაწილი განხორციელების გარკვეულ ეტაპზეა. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოვლინა მათი სხვადასხვა ტიპის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში, საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. თუმცა,

მივიჩნევთ, რომ პროცესი მეტ სისტემატიზაციას საჭიროებს, სასურველია უფრო მეტი აკადემიური პერსონალი იყოს ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. მიმდინარე რეჟიმში დაფინანსებულია 2 სამეცნიერო პროექტი: ერთი მედიცინის, მეორე კი ეკონომიკის მიმართულებით. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს თანხები სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებისთვის და შესაბამისად აღნიშნულ პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართული არიან სტუდენტებიც. ინტერვიუების დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება ვებ გვერდზე წარმოდგენილი მასალებით.

ექსპერტთა ვიზიტისას, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს ყურადღება იყო გამახვილებული თჰუ-ს მხარდაჭერაზე სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტების მხრიდან მათ მონაწილეობაზე სხვადასხვა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. თუმცა თჰუ-ს მიერ არ არის თვალსაჩინოდ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შერულების ანგარიშები და შესაბამისად ვერ ხერხდება შეფასება, თუ რამდენადაა სამეცნიერო მიმართულება გაძლიერებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევითი აქტივობების განვითარების სტრატეგია;
- მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მოკლე ანგარიშები;
- განხორციელებული კვლევითი აქტივობების ნუსხა;
- სამეცნიერო პერსონალის პუბლიკაციების ნუსხა;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნით დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები უცხოელი კოლეგებისა და პარტნიორების მონაწილეობით, მაგალითად:

- ✓ ჰუ-ს ასოცირებული პროფესორი, კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი მარინე შავლაყაძე 2022-2024 წლებში ჩართული იყო სამეცნიერო-საგრანტო პროექტში, რომელიც ხორციელდებოდა ვროცლავის (პოლონეთი) გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში. პროექტს ხელმძღვანელობდა კატარზინა პავესკა. პროექტის სათაური „Framework for Organisational Decision-Making Process in Water Reuse for Smart Cities, SMART-WATER Domain“ (იხ. http://thu.edu.ge/ka/content/75/395/0/0/0/0)
- ✓ თჰუ-ს ასოც. პროფესორი, კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი დოქტორი, მარინე შავლაყაძე 2022 წლის 6-11 ივნისს იმყოფებოდა ვროცლავის (პოლონეთი) გარემოს დაცვისა და

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში კვლევითი სამუშაოების განხორციელების მიზნით. მარინე შავლაყაძის ვიზიტს ორგანიზებას უწევდა პროფესორი კატარზინა პავესკა. მივლინება დაფინანსდა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ (იხ. http://thu.edu.ge/ka/news/736);

- ✓ ამავე ვიზიტის პერიოდში, მარინე შავლაყაძემ 10 ივნისს ჩაატარა ლექცია თემაზე „*The study of the industrial heavy metal contaminated wastewaters in Georgia*" (*იხ.* http://thu.edu.ge/ka/news/736).

ჩატარდა შემდეგი საერთაშორისო კონფერენციები:

- ✓ I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, 27 მაისი, 2021
- ✓ II ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, 6 დეკემბერი, 2021 III ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, 28 მაისი, 2022 (იხ. **http://thu.edu.ge/ka/news/721**)
- ✓ IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია, 2 ივნისი, 2023
- ✓ 2024 წლის 25 მაისს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდება V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2024 წლის 17 ივნისს თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: „მეცნიერების თანამედროვე გამოწვევები". აღნიშნული ღონისძიება დაიგეგმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებითა და მხარდაჭერით, რომელიც გაიმართება ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის ფარგლებში, სახელწოდებით „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის", კვირეულის მიზანია სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმოჩენა ევროკავშირის თანამედროვე გამოწვევებსა და ეროვნულ მიზნებთან მიმართებით, ქართული კვლევების ინტეგრაცია ევროპულ სამეცნიერო სივრცეში.

უსდ-ს შემუშავებული აქვს "სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების დახმარების მექანიზმები", რომელშიც შესაბამისი მიმართულებები განსაზღვრული და აღწერილია. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების დახმარებაზე. ამ მიზნის მისაღწევად ისეთი ზომებია გათვალისწინებული, როგორებიცაა: აკადემიური პერსონალის მოტივირება სამეცნიერო აქტივობების განხორციელებაზე და ამ აქტივობების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში; კვლევითი აქტივობების მიმართ სტუდენტთა ინტერესების გამოვლენა, მოტივაცია და დახმარება; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; ეტაპობრივი ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში. არსებობს ფინანსური წახალისება პუბლიკაციისათვის ან შესრულებასთან დაკავშირებით.

სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში არ არის მაღალი. გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ ნაწილი ხედავს ღონისძიებებში მიღებული მონაწილეობის მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნავენ, რომ მათ იციან როგორც უნივერსიტეტის კვლევების, ისე კონფერენციების შესახებ. უნივერსიტეტს აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები მთელ რიგ საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპაში.

მობილურობის მაგალითები ან კონფერენციებთან დაკავშირებით სხვა ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტების შემთხვევები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა შეკვეცილია. თჰსუ-ს დაგეგმილი აქვს, რომ გარკვეული ინტენსივობით განახორციელოს ინგლისური ენის ცოდნის ასამაღლებლად მის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალისთვის საგანმანათლებლო აქტივობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობის მექანიზმები;
- კვლევითი აქტივობების განვითარების სტრატეგია;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების კონკურსის დებულება;
- სამეცნიერო და შემოქმედებითი ინიციატივებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- ახალგაზრდა თანამშრომელთა მოზიდვის მექანიზმები;

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ერთობლივი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობები და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა;
- მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მოკლე აღწერა;
- ანგარიშები განხორციელებული კვლევითი აქტივობების შესახებ;
- სამეცნიერო პერსონალის პუბლიკაციების ნუსხა;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- უნდა გაიზარდოს კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც.

რჩევები:

- სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა ღონისძიებებსა და აქტივობებში.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უსდ-ს შემუშავებული აქვს კვლევითი აქტივობების ხარისხისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით. შეფასების პროცესის კოორდინირება ხდება პრორექტორის მიერ, ხოლო ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. როგორც ამ პროცესის მიზანს, უნივერსიტეტი საზღვრავს შემდეგ მიმართულებებს: ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება; ნაკლოვანი მხარეებისა და პრობლემების გამოვლენა მათი პრევენციის მიზნით; კვლევების სამომავლო განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა; შიდა დაფინანსების მართვა.

სამეცნიერო აქტივობები წინასწარ დადგენილი ფორმითა და მეთოდით უნდა შეფასდეს არანაკლებ ერთხელ წელიწადში. გამოიყენება სამი ინდიკატორი: ბიბლიომეტრული ინდიკატორები, პერსონალური ინდიკატორები და ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ინდიკატორები.

კვლევითი/სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდაა გაწერილი და განსაზღვრულია დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმების რაოდენობრივი ზღვარი. სამეცნიერო- კვლევითი აქტივობის შეფასების შედეგები ეცნობება თითოეულ შეფასებულ კათედრას და აკადემიურ პერსონალს. ამ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სამეცნიერო აქტივობების შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შედეგების შეფასებას და ანალიზს და ასევე გადაწყვეტილების მიღებას მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის. კვლევითი აქტივობების შეფასების სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის, არამედ ხარისხის შეფასების მიზნითაც. შეფასება ხორციელდება პერიოდულად, რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების

საფუძველზე. აკადემიური პერსონალის მიერ კვლევითი საქმიანობის შეფასების სუსტი მტკიცებულება არსებობს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებული სპეციალური ქულათა სისტემა წარმოდგენილ იქნა პანელისათვის, მაგრამ ინტერვიუების დროს პანელის წევრები ვერ დაარწმუნეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და შეფასების არსებობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობის მექანიზმები; ○ კვლევითი აქტივობების განვითარების სტრატეგია; ○ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების კონკურსის დებულება.
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა 7.1 ქვესტანდარტით განსაზღვრული რესურსები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები უძრავი ქონების ფლობის შესახებ, შიდა აზომვითი ნახაზი, ავტომობილის შეძენის და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მიმდინარე წლის მარტის თვის კომუნალური გადახდის ქვითრები, საევაკუაციო გეგმის დამტკიცების დოკუმენტი, ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარი, დოკუმენტები შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ, 2023 წელს შეძენილი სამედიცინო სახარჯი მასალების ზედნადებები, 2022 და 2024 წელს შეძენილი სამედიცინო ინვენტარის ზედნადებები, სტომატოლოგიის პროგრამების მატერიალური აღჭურვილობის სია,

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მატერიალური ქონების აღრიცხვის ფაილი, კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებები.

როგორც პრაქტიკის ობიექტების, ასევე სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ სტომატოლოგიის პროგრამებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი საჭიროებს გაძლიერებას, როგორც რაოდენობრივი, ასევე აღჭურვილობის მახასიათებლების კუთხით. ვიზიტი განხორციელდა 2 კლინიკაში: შპს „“Dental Champion”-ში და შპს „ინტერმედ ტური“-ში, მათგან პირველს უვადოდ აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი თჰუ-სთან, ხოლო მეორე კლინიკასთან ხელშეკრულება 2021 წლის 12 ოქტომბერს არის დადებული 1 წლის ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კლინიკაში მიმდინარეობს სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, მათ შორის, ოსკი-ს გამოცდები. სტომატოლოგიის პროგრამების ზოგიერთი პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება საუნივერსიტეტო სივრცეში, რომელიც ვიზიტის დროს იყო ნაწილობრივ რემონტში და ექსპერტთა ჯგუფს ვერ შეექმნა სრულყოფილი წარმოდგენა იქ მიმდინარე სასწავლო პროცესზე. შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტები არასაკმარისია. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გასაუმჯობესებელია სტომატოლოგიის პროგრამების პრაქტიკის ობიექტები (კლინიკები და საუნივერსიტეტო სივრცე) მაქსიმალურად რეალურ სიტუაციასთან მიახლოების მიზნით. კლინიკებში ვიზიტის დროს გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა მონიტორინგის გაძლიერების აუცილებლობა მათი კლინიკაში ყოფნის პერიოდში, შესრულებული აქტივობების სრულყოფის და შემოწმების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის შენობაში გადაადგილება სპეციალური საჭიროების მქონე პირს შეუძლია ლიფტის საშუალებით, რაც მას შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების დამდასტურებელი ინფორმაცია;
- კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- საევაკუაციო გეგმა;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარი;
- დოკუმენტები შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ;
- სამედიცინო სახარჯი მასალები;
- სტომატოლოგიის პროგრამების მატერიალური აღჭურვილობა;
- მატერიალური ქონების აღრიცხვის ფაილი;
- კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებები;
- საუნივერსიტეტო სივრცეებში და კლინიკებში ვიზიტების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტების, ასევე კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება თანამედროვე და საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობით და სახარჯი მასალებით, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.
- რეკომენდირებულია ხელშეკრულებების/მემორანდუმების განახლება კლინიკებთან, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსი. ბიბლიოთეკას ჰყავს 2 თანამშრომელი, სამუშაო საათები განსაზღვრულია დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, 7 სტუდენტს შეუძლია ერთდროულად კომპიუტერით სარგებლობა. ასევე, არსებობს სივრცე ჯგუფური მუშაობისათვის. ბიბლიოთეკაში არის კომბაინი დასაბეჭდად და დასასკანერებლად. ბიბლიოთეკარის კომპიუტერში ჩატვირთულია OpenBiblio. ბიბლიოთეკას აქვს წიგთსაცავი, სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი მხოლოდ ქართულ ენაზეა გამოკრული, არადა უნივერსიტეტი ახორციელებს რუსულ და ინგლისურენოვან პროგრამებსაც. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წარმოდგენილია 2019-2023 წლებში შეძენილი წიგნების ჯამური თანხები, რაც მზარდია ბოლო 2 წლის შემთხვევაში, თუმცა სასურველია, თუ ბიბლიოთეკა შეიძენს მეტ თანამედროვე ლიტერატურას. ბიბილიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. წიგნების ზუსტი რაოდენობის დასახელება ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო შეუძლებელი, რადგან 5000-მდე წიგნის ჩამოწერის პროცესი მიმდინარეობდა. შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე (https://www.thu.edu.ge/ka/content/77/381/0/0/0/0) წვდომა აქვთ პერსონალს და სტუდენტებს, თუმცა მათი გამოყენების სტატისტიკა დაბალია. 2023 წლის სტატისტიკის თანახმად, 107-მა მომხმარებელმა ისარგებლა სამეცნიერო ბაზებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2024 წელს დადებული ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე, რომელიც მოქმედია 2025 წლის 31 იანვრამდე.

თჰუ-მ წარმოადგინა ბიბლიოთეკის კითხვარის შედეგების ერთი ვარიანტი, თუმცა ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ პერიოდულობით ტარდება გამოკითხვები ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის რესურსების შეძენის დინამიკა;
- წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამეცნიერო ბაზების სარგებლობის სტატისტიკა;
- ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე;
- ბიბლიოთეკის კითხვარი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია გაიზარდოს სამეცნიერო ბაზების სარგებლობის მაჩვენებელი;
- სასურველია ბიბლიოთეკის თანამედროვე ლიტერატურით გამდიდრება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თჰუ-ს შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები 2025 წლამდე, ასევე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუქნციონირების მექანიზმები. უნივერსიტეტში გამართულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც იმას გულისხმობს, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა გამართულად მუშაობს და მიმდინარეობს მისი დახვეწა, ასევე, დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (e-flow) სისტემა. ინტერიუს დროს აღინიშნა, რომ პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე ხდება სისტემისთვის ფუნციონალების დამატება/რედაქტირება. უნივერსიტეტს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მიზნით გამოყოფილი ჰყავს კონკრეტულ მიმართულებებზე პასუხისმგებელი სპეციალისტების ჯგუფი. თჰუ-ს ინტერნეტ მომწოდებელია „სილქნეტი“, რომლის მომსახურების დაადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილია. უნივერსტიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია რისკები და მათი შეფასება. რისკებს შორის არის სატელეფონო/ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა, ინფორმაციული რესურსები, რომელიც მოიცავს ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობასა (სერვერი/საიტი) და მონაცემთა მიუწვდომლობა/განადგურება. მათი ხდომილების ალბათობა დაბალია, თუმცა გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობასა და სტუდენტებზე მაღალია. გაწერილია რისკების მართვის პრევენციული/აღმდგენი ქმედებები და პასუხისმგებელი ერთეულები.

უნივერსიტეტში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის ბიბლიოთეკასა და საგამოცდო ცენტრებში. საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერებით და კომპიუტერული ტექნიკა საჭიროებისამებრ იცვლება (ბოლოს 2023 წელს განახლდა).

თჰუ-ს შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ვებ გვერდზე, მართვის ელექტრონულ სისტემებში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ვიდეოჩანაწერების შენახვის პროცედურები, კერძოდ, სტომატოლოგიის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ჩაწერილი მონაცემები ინახება მართვის ოთახში განთავსებულ სერვერებზე, არანაკლებ 120 საათის ვადით, რა დროსაც ხორციელდება ახალი ინფორმაციის ავტომატური გადაწერა, ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის ავტომატურად წაშლის შედეგად.

თჰუ-ს აქვს შემუშავებული ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი. ვებ გვერდი: https://www.thu.edu.ge/ . ვებ გვერდი ფუნქციონირებს სამ ენაზე: ქართული, ინგლისური და რუსული. ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციათა შორის არის უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სხვა საჭირო დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია მართვის ორგანოების შესახებ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესახებ, ფაკულტეტებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, სტუდენტებისა და პერსონალის, კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, ბიბლიოთეკის

სერვისები და სტუდენტისა და პროფესორის ელექტრონული კაბინეტები. ვებ გვერდი მუშაობს შეუფერხებლად.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა სრულყოფილი სასერვეროს და შიდა ქსელური აპარატურის შეცვლის სურვილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თჰუ-ს ვებ გვერდი;
- ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი;
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუქნციონირების მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია სასერვერო სივრცის გამოყოფა და აღჭურვა შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით.
- სასურველია შიდა ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თჰუ-ს შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვისა და ანგარიშვალდებულების წესი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა დამტკიცებული ბიუჯეტის მართვისა და კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე ეკისრება რექტორს. ინტერვიუდანაც ნათლად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური რისკების არსებობის შემთხვევაში, რექტორი აფინანსებს კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, პანდემიის დროს ჰქონდა ადგილი ასეთ რისკს. ამ დოკუმენტის თანახმად, მმართველობითი კონტროლის ღონისძიებების ეფექტიანობას უზრუნველყოფს მონიტორინგი და შეფასება. ინტერვიუებზე, დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებთან დაკავშირებით აღინიშნა სხვადასხვა შემოწირულობებიც, რაც სტაბილურ ხასიათს არ ატარებს, ასევე, 2023-2024 წლების ბიუჯეტის ფაილებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტს გარდა სწავლებიდან მიღებული შემოსავლისა, აქვს კომერციული ფართების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი,

სამართლის კლინიკიდან მიღებული შემოსავალი, სასერთიფიკატო/ტრენინგ კურსებიდან მიღებული შემოსავალი, სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და პარტნიორთა შემონატანი.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ბოლო 4 წლის ბიუჯეტის ფაილები, საიდანაც დგინდება, რომ ბიუჯეტი მზარდია, შემოსავლების ნაწილში ჩანს უნივერსიტეტის შემოსავლის წყაროები შემოსავლებთან და ხარჯებთან ერთად. მათ შორის, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია. უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკის შესაბამისად, მიმდინარეობს მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ბიუჯეტის კორექტირება. აღნიშნულ საკითზე უნივერსიტეტის ფინანსურმა სამსახურმა და ფაკულტეტების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება. ბიუჯეტის მიხედვით, 2024 წლის დადეგმილი ბიუჯეტის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროგრამების, ინტერნაციონალიზაციის, ადამიანური რესურსების განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის, IT ინფრასტრუქტურის, ბიბლიოთეკის გაუმჯობესების, ადაპტირებულუ გარემოს შექმნის და სხვა საქმიანობების განვითარების ხარჯები.

ფინანსური რესურსების მართვისა და ანგარიშვალდებულების წესის თანახმად, უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა ხორციელდება სამ ეტაპად: ა) ფინანსური კონტროლი; ბ) მენეჯერული კონტროლი; გ) ფინანსური მართვა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება, რაც არ იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ არასაანგარიშო პერიოდის გამო. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები. უნივერსიტეტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი აუდიტის დასკვნები, რაც ბუნდოვანს ტოვებს ფინანსური კონტროლის სისტემის ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თჰუ-ს ბიუჯეტი;
- თჰუ-ს 2021-2024 წლების ბიუჯეტის დინამიკა;
- ინანსური რესურსების მართვისა და ანგარიშვალდებულების წესი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტი და წარმოადგინოს დასკვნები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებით.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	სამართალი	ქართული	0421.1.1	240	აკრედიტებული	12.07.2018 - N200
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	0413.1.2	240	აკრედიტებული	08.06.2022 - N613905
3	ბიზნესის ადმინისტრირება	რუსული	02	240	ავტორიზებული	02.12.2019 - N43
4	ფსიქოლოგია	ქართული	0707	240	აკრედიტებული	25.08.2018 – N119
5	სტომატოლოგია	ქართული	090201	300	აკრედიტებული	12.07.2018 - N201
6	სტომატოლოგია	რუსული	0911.1.1	300	ავტორიზებული	02.12.2019 - N43
7	სტომატოლოგია	ინგლისური	090201	300	ავტორიზებული	02.12.2019 - N43
8	ქართულ ენაში მომზადების			60	აკრედიტებული	30.12.2022 - 1684661